პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 თებერვალი ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 32 (15549)

შეურიგებელნი ვიყოთ ნაკლოვანებებისადმი!

ლენინი ეკონომიკას პარტიის მთავარ პოლიტიკას უწოდებდა. ბელადის ეს აზრი ახალი ძალით ჟღერს ჩვენს დღეებში, როცა ეკონომიური პოლიტიკაში მობრუნება ხდება სახალხო მეურნეობის განვითარების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისაკენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმმა, რომელიც პარტიის XXIV კონგრესის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობდა, დასახა ამოცანა — მივაღწიოთ მთელი სამეურნეო მუშაობის სრულყოფას, სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის, ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითს გაუმჯობესებას. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა კი ბევრად განსაზღვრავს მიმდინარე წლისა და საერთოდ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაშეტებით შესრულებას.

სამეურნეო კავშირის მშრომელებმა ხუთწლედის მეორე წელს მიაღწიეს ეკონომიკის შემდგომ ამაღლებას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას. თანმიმდევრულად ხორციელდებოდა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამა.

სამეურნეო საქართველოს მშრომელებმაც გარკვეული წარმატებებით დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედის მეორე წელი, რომელმაც თითქმის მოლიანად ჩაიარა პარტიის ობილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განსახილველად დაგეგმილების განხორციელებისათვის, ბრძოლის ნიშნით. აღსანიშნავია განსაკუთრებული აღმავლობა, რომელიც წლის დამამთავრებელ პერიოდში იყო.

ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მთავარმა მიმართულებებმა, რომლებიც პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაზღვრეს, ხელი შეუწყეს შინაპარტიული ცხოვრების შემდგომ აქტივიზაციას, პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფას, კომუნისტთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ზრდას. დიდი როლი შეასრულეს ამ მხრივ კომუნისტთა ხალხგარეშო-საარჩევნო კრებებმა ანგარიშ-მიმდინარე პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადებამ.

მაგრამ ყოველივე ეს თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს, მით უმეტეს, რომ სამეურნეო მშენებლობის სხვადასხვა უბნისადმი ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ ვხედავთ მეტად ხეირიანულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომელიც ხელს უშლიან ჩვენს წინსვლას.

მოუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ გაანალიზა პროდუქციის რეალიზაციის გასული წლის გეგმა, 153 საწარმო ვალში დარჩა ამ მხრივ ხელმწიფოს წინაშე. ჩვენს მრეწველობას არ შეუსრულებია მთელი რიგ ძირითად სახეობათა პროდუქციის გამოშვების დავალებანიც.

თანამედროვე მოთხოვნებს ჯერ უპასუხებს კავშირგამაერთიანებლის ხაშუალებათა, ვეტრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა.

ხერხიანულ ნაკლოვანებებს ჰქონდა შარშან ადგილი კაპიტალურ მშენებლობაში, რამაც თავისი დაღი დასვა საბინაო პროგრამის შესრულებას.

არ შესრულებულა ხოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის წარმოების დავალება, რაც მთელ რიგ რაიონებში დაბალია მათი მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ჩვენ არა გვაქვს ობიექტური მიზეზები საწარმოებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში ჩამორჩენის არსებობისათვის. მაგრამ თუ იგი მაინც არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტორგანიზაციები ღრმად არ სწვდებიან ეკონომიკის ძირეულ საკითხებს, ჭეროვნად არ სწავლობენ ადგილებზე საქმის მდგომარეობას, დროულად არ აკლვნენენ ჩამორჩენის მიზეზებს, სათანადოდ არ ეხმარებიან ჩამორჩენილთა, ხუსტად ამალლებენ სამეურნეო ხელმძღვანელების, შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობას სახელმწიფო გეგმების დროულად შესრულებისათვის.

პარტია გვასწავლის, რომ ყველა წარმატების ბედს წყვეტენ ადამიანები, კადრები. პარტიის მზრუნველობით რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ახლა შრომობს ათეულ ათასობით ადამიანი, რომლებსაც უნარი შეუნევთ წარმატებით გადაჭრან მათ წინაშე მდგომი ამოცანები. მაგრამ კომუნისტური მშენებლობის ზნარდი მასშტაბები ხელ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს ჩვენს კადრებს, ყველა კომუნისტს.

ახლა, როგორც არასდროს, დიდია მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის. ამას განსაკუთრებული ძალით გაუსვა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმმა. აშტარ კადრების შერჩევა, განაწილება, აღზრდა იყო და რჩება პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანად.

მაღალი იდეურობა, აქტივობა, პრინციპული მოდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებისა და მოვლენებისადმი — აი რაშია კომუნისტების, ჩვენს კადრების ძალა. პარტია ასწავლის კადრებს კარგად ხელადგენენ რიგორც გადაჭრილ, ისე გადაუჭრელ საკითხებს, უურადღებას ამახვილებდნენ და მთელ მეცადინეობას ახმარდნენ ვიწრო ადგილების უსწრაფესად აღმოფხვრას.

სამეურნეო მშენებლობის გაზრდილი ამოცანები მნიშვნელოვნად აფართოებს ხელმძღვანელთა მოვალეობას, ამაღლებს მათდამი მომთხოვნელობას. დიდი თუ პატარა ხელმძღვანელის ჩამოყალიბება კი უწინარეს ყოვლისა ხდება პირველადს პარტორგანიზაციაში და ამ კოლექტივში, სადაც იგი მუშაობს. ამიტომ პარტია თავისი ორგანიზაციებისაგან მოითხოვს კადრების იდეური აღზრდისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას. კარგად ვიცნობდეთ თვითეულ ადამიანს, ვასწავლიდეთ დაბეჯითებით, კონკრეტულ მაგალითებზე, ყოველდღიურად ვზრუნავდეთ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, ვიფასებდეთ კადრებს საქმიანი და პოლიტიკური ნიშნის მიხედვით. — ასეთია ამოცანა.

საჭიროა შემდგომ გავაძლიეროთ შინაპარტიული დემოკრატია, ურეველად ვიდგეთ პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებზე დაცვის სადარაჯოზე. ამ მიზნით ყოველმხრივ უნდა გავაუმჯობესოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებების, პარტიული აქტივის კრებების, პარტიული კომიტეტების პლენუმების მოწვევის პრაქტიკა, უნარიანად გამოვიყენოთ მათი მაღალი ტრიბუნა.

თვითეულ პარტორგანიზაციაში, როგორც ეს სკკპ XXIV ყრილობამ მიგვითითა, უნდა განვავითაროთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაკადი მეთოდი. ამ დიდი საქმის ხამსახურში მტკიცედ უნდა ჩავაყენოთ პრესა, ტელევიზია და რადიო, რომლებსაც მასებზე ზემოქმედების დიდი შესაძლებლობანი აქვთ.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის პირველი დღეები აღინიშნა ხოციალისტური შეჯიბრების ფართო გაჭანებით. იგი განსაკუთრებით მძლავრ ძალად იქცა და ახალი შინაარსით გამდიდრდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო ხოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შუსაბამისი დადგენილება.

რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლთა აქტივის კრების მიერ მიღებული ხოციალისტური ვალდებულებანი 1973 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ყველგან მოიწონეს, როგორც ხანრძოლი პროგრამა. ჩვენი გადაუდებელი ვალია წელსვე მივაღწიოთ ძირეულ გარდატეხას მთელ სამეურნეო მუშაობაში. ამისათვის საჭიროა ყველგან შეეკვნათ მალელი მომთხოვნელობის, საკირო ვალდებულებათა შესრულებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის, პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვეთარება, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, გავაძლიეროთ მასების ხაწარმოო და პოლიტიკური აქტივობა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმის, აგრეთვე რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომის შასალები მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენენ ყველასათვის, ვინც მოწოდებულია ამბრძოლოს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ძლავრი აღმავლობის მისაღწევად.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს პარტიული კრებებები და პარტიული კომიტეტების პლენუმები, რომლებზეც ყოველმხრივ განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით ადგილობრივი პარტორგანიზაციების ამოცანებს. საქმის ინტერესები მოითხოვს კრებები და პლენუმები მოვაწყოთ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე, არსებულ ნაკლოვანებათა, კონკრეტულ დანაშაულთა გადაწყვეტილ კრიტიკის ნიშნით, დაკანონდეს ხათანადო ქმედითი ღონისძიებანი და შემდგომ განვამტკიცოთ ინანი ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით.

ახალ მიჯნებს — ჩვენი ახალი ენერგიას!

ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲐ

ქობულეთის რაიონის ხოფელ ციხისძირის კოლმეურნეობის რძის ხასაქონლო ფერმის მეცხოველეთა შეჯიბრებაში გამოირჩევა აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მწველავი მერი ხალვაში. ხუთწლედის გადამწყვეტი წლის პირველი თვის მაჩვენებლების მიხედვით მან ზეგეგმითი რძის მნიშვნელოვანი რაოდენობა მიიღო და სხვა მწველავებს გაუსწრო. მერი ხალვაშმა ვალდებულება აიღო მიმდინარე წელს მისთვის მიმაგრებულ საფურაჟე ძროხებზე გეგმით გათვალისწინებული 24,5 ტონის ნაცვლად 35 ტონა რძე მიიღოს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: მწველავი მერი ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ.

Ფ. ᲜᲐᲜᲘᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაწესა გ. ნ. ნიოლაძის სახელობის პრემია ტექნიკის მეცნიერებათა დარგში ყველაზე თვალსაჩინო თეორიული და პრაქტიკული ნაშრომებისათვის. პრემიის ოდენობა 2500 შანეთია.

პრემია მიენიჭება ორ წელიწადში ერთხელ და დაემთხვევა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ნიკოლოზის-ძე ნიკოლაძის დაბადების დღეს. (საქინფორმი).

მეტი ხორცი, რძე და კვერცხი — ხალხს!

შეუწყნარებელი ჩამორჩენა

რატომ მცირდება ძროხების სულადობა, რატომ არ ზრუნავენ მეფრინველეობისათვის?

საქართველოში, ისევე როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, დღითი დღე ფართოვდება სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება 1972-1973 წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის. მოწინავე ბრიგადების, ფერმების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა გაშალეს ბრძოლა თავიანთი მაღალი ვალდებულებების შესრულებისათვის, ცდილობენ განუხრელად გაზარდონ ძროხების წველადობა, ხახორცე პირუტყვის წონამატება, ფრინველის მეკვერცხულობა.

საუოველთაო-ხახალხო პატრიოტული აღმავლობის, ფერმების მუშაკთა შრომითი ენთუზიაზმის შედეგად რესპუბლიკაში იანვარში შესყიდულია მნიშვნელოვნად მეტი მეცხოველეობის პროდუქტები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში: 78.774 ცენტნერი (103 პროცენტი) ხორცი, 100.959 ცენტნერი (114 პროცენტი) რძე, 15.991 ათასი ცალი (197 პროცენტი) კვერცხი.

1.

ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, ცალკეული რაიონების მეცხოველეებს რომ არ დაეშვათ მეუწყნარებელი ჩამორჩენა. რძის ნაწველის რა ზრდაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ შემცირდა ძროხების სულადობა? მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის გასული წლის ამავე თარიღთან შედარებით მკვეთრად შემცირეს ძროხების სულადობა, მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვ. დურგარიანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე დ. კაკულია, ხოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ვ. გასლიანი). გასაკვირი როდია, რომ აქ ერთ თვეში საშუალოდ ხაფურაჟე ძროხაზე მოწველილია 11 კილოგრამით ნაკლები და ხახელმწიფოს მიეყიდა 645 ცენტნერით ნაკლები რძე, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. სხვათა შორის, ამ რაიონის მეურნეობებში ერთი თვის მანძილზე დამზადებულია შარშანდელზე 302 ცენტნერით ნაკლები ხორცი.

ძროხების რიცხვი შეამცირეს და შათი სულადობის გეგმა ვერ შეასრულეს, და მაშასადამე, შეამცირეს რძის ნაწველი და ხახელმწიფოსათვის მისი მიყიდვა ბოლნისის (თ. ხელაშვილი, მ. ალიევი, ბ. გელეჟი), ახალქალაქის (ს. პეტროსიანი, უ. კაზარიანი, მ. ალელიშვილი) და სხვა რაიონების მეურნეობებმა.

ძროხების სულადობა შეამცირეს აგრეთვე კასპის (ვ. ოლიშვილი, გ. გოგიაშვილი, შ. ხორიაშვილი), ჯავის (ლ. სანაკოევი, ი. კოტოლოვი, ზ. გატკაევი), ქარელის (შ. მაყარობლიძე, კ. შუბითიძე, გ. ჯაბაური), ხოსუმის (ხ. ავიძბა, ბ. ხიჭინავა, ნ. ბაღაფში), გურჯაანის (შ. ბასილაშვილი, რ. ნასარიძე, ლ. ოდლიშვილი), ლენინგორის (ა. მარგიევი, თ. დურგლიშვილი, ზ. ქოზაევი), სამტრედიის (ნ. კოსრეიძე, ა. მანჯგალაძე, გ. ქართველიშვილი), ზნაურის (გ. თხელიძე, ა. ჯიოევი, კ. მარგალიტაძე) და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

2.

ნაცვლად იმისა, რომ პირველ თვეშივე ხუთწლედის მესამე წლისა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ დამკვიდრებულ, გადამწყვეტ წელს აეღოთ სწრაფი ტემპი, ზოგიერთმა მეურნეობამ დაუშვა რძის ნაწველის შემცირება გასული წლის იანვართან შედარებით. ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა (ბ. კუსიანიძე, ს. კიკნაძე, დ. ბარამიძე), მაგალითად, ერთ თვეში საშუალოდ საფურაჟე ძროხაზე მოწველეს 10 კილოგრამით ნაკლები რძე, ჩოხატაურის (რ. კვინტარაძე, გ. მამალაძე, კ. დოლიძე) — 8, გეგეჭკორის (ნ. ჩხოლარია, ა. სურმავა, თ. დვეუაძე), გარდაბნის (გ. ზაუტაშვილი, დ. დათუაშვილი, ჯ. ბაქრაძე), წალკის (ვ. დელავერი, ლ. მელტონიანი, ა. მაცუკატოვი) — 6. ხაშურის (დ. ნოზაძე, ჭ. გუჯეჯიანი, ბ. მაისაშვილი) და ზალეჩიხის (ჯ. კვარაცხელია, ვ. მიქავა) რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა — 5 კილოგრამით ნაკლები რძე და ა. შ.

ხადღეღამისო ნაწველის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წონამატების, ქათმის მეკვერცხეობის შემცირებამ, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ხახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების — რძის, ხორცის, კვერცხის მიყიდვაზე.

გასული წლის იანვართან შედარებით 2666 ცენტნერით ნაკლები ხორცი დაამზადეს თიანეთის (ნ. მგელაშვილი, ლ. ლომჯარია, გ. დვალიშვილი), 1.196 ცენტნერით ნაკლები — დუშეთის (ა. შადური, ბ. ახობაძე, მ. ქარსელაძე), 1,103 ცენტნერით ნაკლები — ხიღნაღის (დ. ელესაშვილი, მ. კრაწაშვილი, ბ. დვითიაშვილი) რაიონების მეურნეობებმა, 880 ცენტნერით ნაკლები — ხამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (პარტიის ხაოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჯუსოევი, ხაოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ქ. ჯიოევი, ხოფლის მეურნეობის ხაოლქო ხამმართველოს უფროსი გ. თოფჩიშვილი), 703 ცენტნერით ნაკლები — კასპის, 495 ცენტნერით ნაკლები — საგარეჯოს (ო. ხაბაშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მ. მეზვრიშვილი, ა. აჩელაშვილი), 494 ცენტნერით ნაკლები — ჩოხატაურის, 426 ცენტნერით ნაკლები — მცხეთის (გ. კავთიაშვილი, დ. რომელაშვილი, ჯ. ჯავახიშვილი), 357 ცენტნერით ნაკლები — ონის (ა. გოგლიძე, ბ. მინდელი, ა. ბერიშვილი) რაიონების მეურნეობებმა.

იანვარში შემცირდა აგრეთვე რძის დამზადება გასული წლის პირველ თვესთან შედარებით: გარდაბნის რაიონში — 357 ცენტნერით, ამბროლაურის (მ. ბიბილაშვილი, ნ. შარაბიძე, ი. ბაკურაძე) — 257, ქალაქ ტყიბულის ზონის მეურნეობებში (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. გოცირიძე, საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ბ. ორჯონიკიძე, ხოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. ჭელიშვილი) — 244, ჩხოროწყუს რაიონში (დ. ჯოჯელავა, მ. თოდუა, გ. ცირამუა) — 227, გეგეჭკორის — 137, წალენჯიხის — 81, კასპის — 76, ონის რაიონში — 73 ცენტნერით.

3.

ცალკეულ მეურნეობებში მეფრინველეობისათვის ზრუნვის შენელებამ გამოიწვია ზოგიერთ რაიონში კვერცხის დამზადების ჩამორჩენა. მაგალითად, ბაბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა (ნ. ჩაგუნავა, ა. ნადარეიშვილი, გ. კუციია) დაკლეს 91 ათასი ცალი კვერცხი, ცხაკაიის (მ. ჭითანავა, ი. კარტოზია, ო. შალამბერიძე) — 90 ათასი, ქარელის — 55 ათასი, წულუკიძის (გ. მელქაძე, მ. აბრამიძე, ვ. კირთაძე) — 20 ათასი, ახმეტის (ე. შანშიაშვილი, ი. ბაიდიურაშვილი, ვ. ამდელაშვილი) — 13 ათასი, ბორჯომის — 10 ათასი, ახალქალაქის — 7 ათასი, ადიგენის (კ. რეხვიაშვილი, შ. კასრაშვილი, გ. კულიჯანიშვილი) კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა — 2 ათასი ცალი კვერცხი.

წლის დამდეგიდან მხოლოდ ერთი თვე გავიდა. ეს ცოტაც არის და ბევრიც. ცოტაა იმ რაიონული პარტიული, საბჭოთა, ხოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებისათვის, ვინც მალე არ გააანალიზებს ღრმად იანვრის მუშაობას, რათა აანაზღაუროს დანაკლისი; და ბევრია იმათთვის, ვინც მუშაობს რიტმულად, თანაბრად, თვიდან თვემდე ზრდის მეცხოველეობის პროდუქტიულობას, როგორც ამას მოითხოვენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი.

(საქინფორმი).

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲫᲙᲘᲪᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1973 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

აზერბაიჯანის მშრომელებმა, რომლებიც ებრძვიან სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსორციელებისათვის, ვადამდე, 1972 წლის 27 დეკემბერს შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა წარმოების წლიური გეგმა. გადაჭარბებით შეასრულეს დავალებანი და აჭარბებენ. ხუთწლიანი გეგმით დადგენილ დონეს ნავთობგადამმუშავებელი, ნავთობქიმიური, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ფეროვან მეტალურგიის, ხელსაწყოთმშენებლობის, ხორცის, რძის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები. ამოქმედდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტები. შემჭიდროებულ ვადებში აშენდა და ხაკუმპლოტაციოდ გადაეცა მეტროპოლიტენის სამი ახალი სადგური, დიდი ბოსტნეულსაცავის პირველი რიგი და სხვა ნაგებობანი.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის ხოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც შეასრულეს შესყიდვის სახელმწიფო გეგმა და გადიდებული ხოციალისტური ვალდებულებანი ხოფლის მეურნეობის პროდუქციის თითქმის ყველა სახეობის მიხედვით. 1972 წელს მნიშვნელოვნად გადაჭარბეს ბამბის, თამბაქოსა და აბრეშუმის პარკის წარმოების ხუთწლედის დამლევისათვის დასახული დონეს.

რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც აღაფრთოვანა სასალხო მეურნეობის განვითარების შემდგომმა პერსპექტივებმა, რაც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სსრ კავშირის 50 წლისთავის შესახებ, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეული წვლილი შეიტანონ მეცხრე ხუთწლედის მეხუთ, გადამწყვეტ წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაში. აზერბაიჯანის მშრომელები ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, მთავარ ყურადღებას უთმობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას, და 1973 წლისათვის იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲡᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲕᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ, 1973 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲘᲦᲝᲡ 130 ᲐᲗᲐᲡᲘᲐ ᲢᲝᲜᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘ, 92,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲒᲐᲖᲘ, 20 ᲐᲗᲐᲡᲘᲐ ᲢᲝᲜᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲜᲘ ᲓᲐᲚᲘᲜᲘ, ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲚᲐᲜ 10 ᲐᲗᲐᲡᲘᲐ ᲪᲐᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ, 25 ᲐᲗᲐᲡᲘᲐ ᲢᲝᲜᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘ, 2,5 ᲐᲗᲐᲡᲘᲐ ᲢᲝᲜᲐ ᲛᲘᲚᲘᲡ, 3.500 ᲪᲐᲚᲘ ᲡᲐᲧᲝᲤᲝᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲠᲘ, 1,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲐᲒᲜᲘᲢᲘᲡ, 360 ᲐᲗᲐᲡᲘᲐ ᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲤᲮᲕᲘᲚᲔᲑᲘ, 9 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲯᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲝᲜ ᲛᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ.

გეგმის გადამეტებით აწარმოონ და გაასაღონ 34 მილიონ მანეთზე მეტი დირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი, მათ შორის 50 ათასი კვადრატული მეტრი ხალიჩის და ხალიჩის ნაწარმი, 100 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 110 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 5,3 ათასი ტონა ხორცი და ხორცის პროდუქტები, ხიბლოსტნეულის კონსერვები, საკონდიტრო ნაწარმი, ჩაი და სხვა პროდუქციაა.

ათივისონ და წარმოებაში დანერგონ 900-ზე მეტი ახალი ნაწარმი, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის მოდელები და სხვა პროდუქცია. ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ატესტაციისათვის წარადგინონ 37 ნაწარმი. დაზოგონ 90 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 31 ათასი ტონა პიროვნული სათბობი. რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვის შედეგად დაზოგონ 21 მილიონი მანეთი.

მშენებლები, მემონტაჟეები და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი, ვადაზე 3 დღით ადრე დაამთავრონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შესრულების წლიური პროგრამა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მსუბუქი და კვების მრეწველობის ობიექტების მშენებლობას. ვადამდე გადასცენ ხაკუმპლოტაციოდ ხაკონდიტრო ფაბრიკა ქალაქ კიროვაბადში, სამუშაოებიანი ავეჯის წარმოების სიმძლავრეები ბაქოს № 4 ავეჯის ფაბრიკაში, ყურძნის გადასამუშავებელი სიმძლავრეები „1 მაისის“, „ბაკინსკი რაბოჩის“, „მილის“, აღჯაბედის ხაბჭოთა მეურნეობებში, მაცივარი ხაბჭოს, ხაკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ხოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, მთავარ ყურადღებას უთმობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ზეგეგმიანი ნაწარმოების ფართო გაშლას, ადგილობრივ მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები.

ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲡᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲕᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ, 1973 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲘᲦᲝᲡ 130 ᲐᲗᲐᲡᲘᲐ ᲢᲝᲜᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘ, 92,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲒᲐᲖᲘ, 20 ᲐᲗᲐᲡᲘᲐ ᲢᲝᲜᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲜᲘ ᲓᲐᲚᲘᲜᲘ, ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲚᲐᲜ 10

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲛᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲡᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ და აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირმა მოაწყეს რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქტორთა ერთჯერადი პრაქტიკული სწავლება გაზეთების „აფსნი აყაშნის“, „საბჭოთა აფხაზეთისა“ და „სოვეტსკაია აბხაზიის“ რედაქციებში.

ადგილობრივი გაზეთების რედაქტორები გაეცნენ საოლქო გაზეთების რედაქციათა მოღვაწეობის ორგანიზაციას, ავტორთა აქტივთან მუშაობის გამოცდილებას, შტატგარეშე განყოფილებების მუშაობას. სწავლებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სოციალისტური შეჯიბრების გაშუქებაში პრესის მონაწილეობის საკითხებს, ამ საქმეში გაზეთების ორგანიზატორული როლის ამაღლებას. რედაქტორებმა მონაწილეობა მიიღეს კოლეგიების სხდომებში, გაზეთების ნომრების დაგეგმვასა და სარედაქციო თათბირებში.

ᲥᲯᲐᲚᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲔᲓᲘᲢᲘᲜᲔᲑᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲨᲘ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). აქ გაიმართა რაიონის პირველადი პარტორგანიზაციათა ახალარჩეული მდივნების თათბირ-სემინარი.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ტ. ყარაულაშვილის, საარეკეთის კომისიის თავმჯდომარის ლ. თათარაშვილის, ინსტრუქტორების ელ. თვალიაშვილისა და მ. სეხნაიშვილის მოხსენებები შინაპარტიული მუშაობის მთელ რიგ საკითხებზე

ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲐᲓᲚᲘᲒᲔᲜᲘᲡ რაიონში ეწყობა ზონალური თათბირები სსრ კავშირის 50 წლისთავის მასალების პროპაგანდის მიზნით.

ერთ-ერთი ასეთი თათბირი მოეწყო ვარხნის სასოფლო საბჭოში.

თათბირს დაესწრნენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, შტატგარეშე ლექტორები, პოლიტინფორმატორები და მათი ჯგუფების ხელმძღვანელები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები და აგიტატორები, ძირეული პრესის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები, პროპაგანდისტი და აგიტატორები, განყოფილების შტატგარეშე ინსტრუქტორები, მეთოდსაბჭოს წევრები.

Გ. ᲚᲘᲪᲐᲠᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲑᲐᲨᲘᲡ რაიკომთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთიწლიან სკოლაში 128 კაცია გაწერიანებული. მეცადინეობებზე ლექციებია და მოხსენებებით ხშირად გამოდიან პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სექციურ მეცადინეობას, სადაც თავიანთ გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ პარტორგანიზაციების მდივნები.

სკოლის თვითეული მეცადინობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პრაქტიკულ საქმიანობასთან.

ᲘᲕ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲒᲕᲘᲠᲗᲛᲝᲑᲐ

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ

ᲤᲘᲗᲘᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის მექანიზატორთა პატრიოტულმა თათბირმა — სანიმუშოდ მოვამზადოთ ტექნიკა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის — ჩვენი კოლმეურნეობის მექანიზატორებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. იმ დღიდან ყველა მათგანი ტექნიკის რემონტისა და საზამთროდ მისი დაბინავების თაღარიგს შეუდგა. დასუფთავებული და შეზეთილია ყველა კომბაინი, სათესი და კულტივატორი, ისინი დადგმულია საცალოურ საყრდენებზე.

ტრაქტორისტები შ. აუდაშვილი, ბ. ასატუროვი, ი. გაბაროშვილი, გ. გიგორაშვილი და სხვები ტრაქტორების რემონტზე ენერგიულად მუშაობენ, მათ ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს ხუთი ტრაქტორი შეაკეთეს. მალე მწყობრში ჩადგება კიდევ სამი ტრაქტორი. ჩვენი პირობაა ტრაქტორებისა და ყველა მისაბმელი იარაღ-მანქანის რემონტი 1 მარტისათვის დავამთავროთ.

მალე ჩვენი კოლმეურნეობის 27 ტრაქტორი, 9 გუთანი, 10 სათესი და სხვა მანქანები მზად იქნება საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

ლ. ᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობის მექანიზატორი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“
ᲛᲔ-2 ᲒᲕᲘᲠᲓᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲒᲐᲗᲘ,
7 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1978 Წ.

ᲐᲕᲐᲠᲯᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲜᲯᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ საანგარიშოსაარჩევნო კრება დანიშნულ დროზე დაიწყო. ოქტომბრელმა კოლმეურნეებმა შეჯამეს თავიანთი შრომის გასული წლის შედეგები. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი, რის შედეგადაც რეპუბლიკურ და რაიონულ გარდამავალ დროშებთან ერთად მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო ნიშანი, რომლითაც კოლმეურნეობა დაჯილდოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატების მოპოვებისათვის.

გასული წლის ამინდი არ ანებივრებდა ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის კოლმეურნეობის მშრომელებს, მაგრამ მათმა ენერგიულმა შრომამ, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენებამ მაინც თავისი გაიტანა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კარლო ალმასიას მოჰყავს გმირული ცოფერები.

— ჩაის პლანტაციებში წლების მანძილზე ჩატარებულმა ღონისძიებებმა ერთთიორად გაადიდა მოსავლიანობა. 1967 წელს ჰექტარზე 3,1 ტონა მოსავალი მივიღეთ, ე. ი. რაიონის ყველა კოლმეურნეობაზე მცირე, მარშან არა მარტო დავეწიეთ მათ, არამედ რაიონში ყველაზე მაღალი მოსავალი მივიღეთ. მანქანებით ნაკრეფ ფართობზე საშუალოდ მივიღეთ 6.510 კილოგრამი, ხოლო ხელით საკრეფი ფართობიდან 8.100 კილოგრამი. თუ 1967 წელს მოკრიფეთ 520 ტონა ჩაის ფოთოლი, 1972 წელს მოკრიფეთ ორჯერ მეტი — 1.138 ტონა.

გადაჭარბებით შესრულდა სიმინდის წარმოების გეგმა. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობაში ყოველწლიურად მატულობს სიმინდის მოსავლიანობა. საანგარიშო წლისათვის არა მარტო დავეწიეთ რაიონის კოლმეურნეობებს, არამედ გავუსწარით მარცვლეულის წარმოებაში ყველაზე მოწინავე — ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც სიმინდის მოყვანის დიდი გამოცდილება აქვს და წლების განმავლობაში ფლობდა პარტიის ზუგდიდის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალ დროშას. ახლა მთავარია ამ დროშის შენარჩუნება, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა. წელს ყველაფერი უნდა გაკეთონ ჩვენმა მესამინდეებმა, რომ ეს დროშა შევინარჩუნოთ.

როგორც მოხსენებიდან, ისე კამათში გამოსული ამხანაგების თ. ფარცვანიას, მ. ხუციელავას, მ. გერანტიას, ვ. წიწვავას, ა. სიხარულიას, ი. უბილავას, ვ. შამუგას, დ. დიდიშვილის სიტყვებიდან ნათლად ჩანდა, რომ კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის სულადობის, პროდუქტიულობის, აბრეშუმის პარკის, ყურძნის, თხილის, სოფლ, ლაო-ჩაის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები და ვალდებულებები.

კოლმეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას, იდგილზე მტკიცე და იაფფასიანი საკვების შექმნას საგრძნობლად გაიზიდა პროდუქციის წარმოება და შეამცირა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. საიუბილეო საანგარიშო წელს კოლმეურნეობის მეცხოველეებმა 178 ცენტნერის ნაცვლად აწარმოეს 182 ცენტნერი ხორცი, 1.462 ცენტნერის ნაცვლად 1.537,6 ცენტნერი რძე, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის გეგმები. ერთ საფუძველ ძროხაზე 1950 კილოგრამის ნაცვლად მიიღეს 2.083 კილოგრამი რძე.

საკოლმეურნეო წესდების ცხოვრებაში გატარებამ, საქმისადმი პრინციპულმა მიდგომამ, შრომის გარანტირებული ანაზღაურების დანერგვამ განამტკიცა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, სტმული მისცა კოლმეურნეებს ეწარმოებინათ სოფლის მეურნეობის მეტი და იაფი პროდუქტები.

კოლმეურნეობაში საერთო შემოსავალმა ნაცვლად 842 ათასი მანეთისა 1 მილიონ 287,4 ათას მანეთს მიაღწია. გეგმის ზევით 445 ათასი მანეთით მეტი შემოსავალია მიღებული, ზეგეგმითმა მოგებამ კი 226 ათას მანეთს გადააჭარბა.

სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით ზეგეგმითი პროდუქციის წარმოებისათვის კოლმეურნეებს ანაზღაურების სახით დაერიცხათ 158,7 ათასი მანეთი პრემია.

მიღწევებთან ერთად როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებზე, შრომის დისციპლინის დამრღვევებზე, სხვა საპირბოროტო საკითხებზე.

როგორც კრებაზე აღინიშნა, ჯერ-კიდევ [illegible] დაბალია პირველი ხარისხის [illegible] ფოთლის პროცენტული [illegible] ნებელი. ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხი უნდა ავამაღლოთ, ჩვენი კოლმეურნეობისათვის 69 პროცენტი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი დაბალი მაჩვენებელია. ასევე უნდა მივიღოთ სასწრაფო ზომები ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის სრულფასოვნად დანერგვისათვის. არც სიმინდის მოსავალია დიდი (ჰექტარზე 27 ცენტნერი). უნდა გავზარდოთ მოსავლიანობა. სამარცხვინო ჩამორჩენაა ბოსტნეულის წარმოებაში. ყველა რეზერვი გვაქვს ამ დარგების გადიდებისათვის, და უნდა ავამოქმედოთ ეს რეზერვები.

საანგარიშო კრებაზე ისიც აღინიშნა, რომ სოფლის ე. წ. „ნაჭვის“ უბანში არ არის სასუფევლათა მაღაზია. ღღის 6 საათის შემდეგ სატელეფონო კავშირი არ არის რაიონულ ცენტრთან შემცველი ტელეფონისტის შტატის უქონლობის გამო; მეცხოველეობა შეიძლება რენტაბელური დარგი გახდეს. [illegible] 100 [illegible] საძოვარი ჰქონდეს. რაიონის სხვა კოლმეურნეობებში [illegible] შემთხვევაში [illegible] საკარგულს. სოფელში არ არის შენობა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისათვის, სპორტული დაცარაგებულ. ეს ყველა ამ საქმის მოგვარება როგორც კოლმეურნეობის, ისე ზემდგომი ორგანოების ჩარევით შეიძლება, მაგრამ დღემდე მოუგვარებელია.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. კიკნაძემ.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ აირჩია კოლმეურნეობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ კვლავ ჯ. ალმასია აირჩია.

Გ. ᲜᲝᲓᲘᲐ.
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠᲡ.

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ᲗᲔᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე იზრდება მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, მაღლდება სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის როლი და მნიშვნელობა.

პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი შუამავის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ბრძოლა სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე საბჭოთა ადამიანების ორგანიზებულობის ამაღლება. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმული იყო ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დარღვევათა, გამომძალველობის, სახელმწიფო ქონების მითვისების, მექრთამეობის, ლოთობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ.

წესრიგისა და დისციპლინის დაცვის მოთხოვნა განსაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, თვით თანამედროვე სოციალისტური მეურნეობის ხასიათით, საწარმოო ძალების განვითარების დონით, წარმოების განსაზოგადოებისა და გამსხვილების ხარისხით. ამასთან ერთად შრომის დისციპლინის ტექნიკურ-ორგანიზაციული და სოციალურ-პოლიტიკური მხარეები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთმანეთს განაპირობებენ. ეს იმიტომ, რომ მათი ამოცანაა არა მარტო სამეურნეო-ეკონომიური გეგმების შესრულება, არამედ ადამიანების აღზრდაც კოლექტივიზმის სულისკვეთებით, მათი მორალურ-პოლიტიკური და პროფესიული დონის ამაღლება.

სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცება, ბრძოლა საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვისათვის, ეამლეკვრებისა და მექრთამეების, სპეკულანტების წინააღმდეგ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

მაღალი შვნებული დისციპლინა მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმატიულ მოწესრიგებას, ყოველი ორგანოს და ყოველი მუშაკის ფუნქციების ზუსტად განსაზღვრას. ყველა საბჭოთა დაწესებულებაში, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, „დაუღალავად უნდა ვეცდილობდეთ, რომ საქმითა იყოს უზრუნველყოფილი თვითეული პირადი პასუხისმგებლობა განსაზღვრული, სახტიკად და ზუსტად დანიშნული სამუშაოსათვის ან სამუშაოს ნაწილისათვის“. (ოს. ტ. 30, გვ. 154).

წესრიგისა და ორგანიზებულობის დამყარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ კანონიერებას. იგი ერთმანეთთან აკავშირებს დემოკრატიასა და დისციპლინას. დემოკრატიული კანონები იმას აწესებენ, რაც სალხისათვის არის მისაღები. კანონი აიძულებს ყველა დაწესებულებას და პირს შეასრულოს მისი მოთხოვნები. კანონებს მიელი თავისი ავტორიტეტით იცავს სოციალისტური სახელმწიფო. ეს დაცვა არ არის მარტო მორალური მსარე, არამედ იგი დაკანონებული აუცილებლობა.

სოციალისტური დემოკრატია და სოციალისტური დისციპლინა სოციალისტური საზოგადოების დამახასიათებელი მოვლენებია და მას ემსახურება. სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში დემოკრატია და დისციპლინა ემყარება დარწმუნებისა და იძულების მეთოდებს. ამ ორი ცნების ერთმანეთისაგან დაცილება არ შეიძლება. ისინი ჩვენს პირობებში, მოქმედებენ რა ორგანულ ერთიანობაში, ერთმანეთს არ გამორიცხავენ და ემსახურებიან საბჭოთა წყობილების განმტკიცების საქმეს.

დარწმუნების ფორმებთან ერთად სოციალისტური სახელმწიფო იძულებულია გამოიყენოს ნაძულების ღონისძიებებიც. მათი გამოყენება აუცილებელი ხდება კანონების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებში. ხაზინანა იძულების მეთოდების გადაფასება, მაგრამ ასევე ხაზინანა მისი შეუფასებლობაც. მხედველობაში უნდა გვქონდეთ ის გარემოება, რომ სანამ არსებობს სახელმწიფო, შენარჩუნებულია სახელმწიფოებრივი იძულება როგორც სოციალისტური მართლწესრიგის დაცვის მნიშვნელოვანი საშუალება. ჩვენი თანდათანობითი წინსვლა კომუნისტური თვითმმართველობისაკენ შეამცირებს სახელმწიფებრივი იძულების მოქმედების სფეროს. თანამედროვე ეტაპზე კი მისი თავიდან აცილება შეუძლებელია. ყოველგვარი დამთმობა და ლიბერალიზმი გამოიწვევს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას და დისციპლინის შესუსტებას.

ამავე დროს ზოგიერთ შემთხვევაში სოციალისტური სახელმწიფო, ხელმძღვანელობს რა ჰუმანურობის პრინციპებით და მისწრაფებით, რომ საბჭოთა ხალხს აღმშენებლობით შრომაში აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს მოქალაქეებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით საზოგადოების წინაშე და მსჯავრდებულნი არიან, მაგრამ თავიანთი ყოფაქცევით და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცეს, რომ მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას, აბრუნებს მათ საზოგადოებაში, ათავისუფლებს ვადაზე ადრე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან.

ასეთ ჰუმანურ აქტს წარმოადგენდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 დეკემბერს მიღებული ამნისტია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

პარტიის XXIV ყრილობისადმი გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში ნაჩვენებია, რომ ყოველი ცდა კანონიდან გადასვლისა, რითაც არ უნდა იყოს იგი მოტივირებული, არ შეიძლება მოთმენილ იქნას, რომ კანონისადმი პატივისცემა აუცილებელი პირობაა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ შენებლობის თანამედროვე სტადიაზე ახალი ეტაპი დაიწყო შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში, როდესაც საჭიროა სწრაფი წინსვლა, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ზრდა. შრომის დისციპლინის განმტკიცება წარმოადგენს ხალხისა და სახელმწიფოს ერთიანობის ამოცანას. როგორც ითქვა, მისი განხორციელება დიდად არის დამოკიდებული საბჭოთა კანონმდებლობის განუხრელად გატარებასთან. 1971 წლიდან ძალაში შევიდა როგორც სსრ კავშირის მასშტაბით, მთელ რესპუბლიკებში შრომითი კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლები. ეს კანონები შეიცავენ კონკრეტულ უფლებრივ ნორმებს, რომლებიც მიმართულია სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისაკენ. შრომითი კანონმდებლობა ავალდებულებს მუშებს და მოსამსახურეებს იმრომონ პატიოსნად, წესიერად, თავის დროზე შეასრულონ განაკარგულებანი, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. ამ კანონებში ასევე კონკრეტულად ჩამოყალიბებულია საწარმოთა ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობანი.

შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი დემოკრატიული ფორმების გამოყენებას, როგორიც არის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებები. ბევრ ადგილას ისინი ასრულებენ მათთვის შესაფერ როლს. კრებებზე განიხილება მრავალი საპირბოროტო საკითხი.

ბევრ მოწინავე საწარმოში მიმდინარეობს ნაყოფიერი, მუშაობა საწარმოთა კოლექტივების სოციალური სტრუქტურის სრულყოფისათვის. მისი მიზანია ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკებს, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის განსხვავების თანდათანობითი აღმოფხვრა, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება, მათი ყოფისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ამ ღონისძიებათა განხორციელება ქმნის სოციალურ-ეკონომიურ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაფსიქოლოგიურ წანამძღვრებს კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

— შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ღონისძიებებს, რასაც პარტიული ორგანიზაციები, წარმოების ხელმძღვანელობა ახორციელებენ მუშათა კადრების დენადობის შესამცირებლად, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისა და შრომის დანორმვის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შრომის დისციპლინა დიდად არის იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ ხდება შრომითი შეჯიბრების ორგანიზაცია საწარმოებში, მშრომელთა სხვა კოლექტივებში. თავის მხრივ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს მნიშვნელოვნად განაპირობებს შრომის დისციპლინის მდგომარეობა.

შრომის შეჯიბრების გაშლასა და განვითარებაში ფლობდა პარტიის ზუგდიდის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალ დროშას. ახლა მთავარია ამ დროშის შენარჩუნება, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა. წელს ყველაფერი უნდა გაკეთონ ჩვენმა მესამინდეებმა, რომ ეს დროშა შევინარჩუნოთ.

